სამოქალაქო სოლიდარობის დასასჯელად განხორციელებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე
რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

I რეპრესიები 5
დევნა 5
დაკავებები 6
წამება და არაადამიანური მოპყრობა 7
ჭარიმები 8
II სოლიდარობის ფონდები 10
ადამიანის უფლებათა სახლის საქმიანობა 10
III ფასადური გამოძიება და თვითნებური საგამოძიებო მოქმედებები 12
ფონდების დაყადაღება 13
სისხლისსამართლებრივი საპროცესო მექანიზმები 15
- *ალექსანდრე ცქიტიშვილის საქმე 16*
- *სხვა საქმეთა პროცედურული დარღვევები 20*
დასკვნა 21

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ხელისუფლების მიერ გადადგმული ანტიდემოკრატიული ნაბიჯების კვალდაკვალ იმატა სამოქალაქო პროტესტმა. 2023 წლიდან ხელისუფლებამ დაიწყო რეპრესიები, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა, კრიტიკული აზრის მქონე პირთა შემთხვევითობის პრინციპით დაკავება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მასშტაბების გაზრდა და უსაფუძვლო ჯარიმების დაწესება.

ადამიანის უფლებების კრიზისის პერიოდში საზოგადოებაში გაჩნდა სოლიდარობის ფონდები/ორგანიზაციები, რომლებიც ერთმანეთის დახმარებასა და მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან დაიწყო ამ ორგანიზაციების დევნა და მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმებიც ამოქმედდა.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს გააანალიზოს, თუ როგორ იქცა სოლიდარობის ორგანიზაციები პოლიტიკური ანგარიშსწორების სამიზნედ. დოკუმენტში დეტალურად არის განხილული თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის საქმიანობის მაგალითზე, ფონდების დაყადაღებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩატარებული გამოძიებისა თუ ჩხრეკა/ამოღებების აბსურდულობა.

I რეპრესიები

დევნა

ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი მნიშვნელოვანია როგორც ხელისუფლების უკანონო ქმედებების მხილების კონტექსტში, ისე მოქალაქეთა დახმარებისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის მიერ 2023 წელს განსაზღვრული 9 დათქმის შესრულების ნაცვლად (რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერებასაც გულისხმობდა), მიიღო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემზღუდველი კანონები, რომელთა მიზანს კრიტიკული ხმის ჩახშობა წარმოადგენს. ამ კანონების მიღებას წინ უძღოდა საზოგადოების თვალში სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დეზინფორმაციული ფორმით წარმოჩენის კამპანიები. წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მტრული რიტორიკის ფონზე, კარგი ნიადაგი შეიქმნა ასეთი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დევნის განსახორციელებლად, რაც საწყის ეტაპზე სატელეფონო მუქარებში, ხოლო შემდეგ - სიძულვილის გრაფიტებსა და ფიზიკურ თავდასხმებში გამოიხატა.[1] მაგალითად, გრაფიტებთან დაკავშირებული „სიძულვილის კამპანიის“ ფარგლებში თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ოფისის კარზე და კედლებზე განათავსეს სახლის წევრი ორგანიზაციების - „ადამიანის უფლებათა ცენტრის“, „საფარის“ და „უფლებები საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორების პოსტერები წარწერით „აგენტურა“, „ქვეყნის დამანგრევლები“ და სხვა. მეტიც, აღნიშნული ქმედება განმეორდა და შემდეგ ჯერზე შენობის ფასადზე, ღობეზე, ჭიშკარსა და ასფალტზე კვლავ განათავსეს შეურაცხმყოფელი გრაფიტები და წარწერები.[2]

მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი წარმომადგენლებისა და კანონის მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირების დევნასთან დაკავშირებით გამოძიების უმოქმედობამ, რაც გამოიხატა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისგან თავის შეკავებით, გამოძიების არასწორი კვალიფიკაციით წარმართვით, დამნაშავეთა დაუსჯელობის წახალისებით და სხვა. მეტიც, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა თვითონ გახდა გამოძიების საგანი.

ჯერ კიდევ 2023 წელს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ ორგანიზებულ შეთქმულებაში ხელისუფლების დამხობის მიზნით. საქმეზე დაიწყო გამოძიება და, მოგვიანებით, მტკიცებულების სახით გავრცელდა ფარულად გადაღებული კადრები, რაც სავარაუდო უკანონო თვალთვალის ერთგვარი ნიშანიც იყო (2021წელს მასშტაბური უკანონო მოსმენების გაჟონვისა და ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული განგრძობადი დაუსჯელობის

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; „სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა“; 2024; იხ. ბმული

[2] ერთობლივი განცხადება - უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორია / ადამიანის უფლებათა ცენტრი; „უფლებადამცველების მდგომარეობის სერიოზული გაუარესება საქართველოში”; 26.06.2024; იხ. ბმული

გათვალისწინებით[3]). გაეროს სპეციალური მომხსენებლის შეფასებით, გავრცელებული ტრენინგის მთავარ თემას პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვა წარმოადგენდა და არც მისი კადრები ადასტურებდა საპირისპიროს. ამის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტრენინგის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიმართ წაყენებული ბრალდებები გამოიყენეს შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ საკანონმდებლო შეზღუდვების გასამართლებლად. ამგვარად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ადმინისტრაციული პატიმრობის გახანგრძლივებისა და 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ჯარიმების ზედა ზღვრის გაზრდით, კიდევ უფრო გამძაფრდა ამ მუხლების ბოროტად გამოყენების უკვე არსებული პრაქტიკა, რაც შემდგომ სასამართლოების მიერ სისტემატურად ჯარიმების დაკისრებაზეც აისახა.[4]

დაკავებები

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა.[5] ასევე, დაცულია შეკრების თავისუფლება.[6] თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ხშირად გამოიყენება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უსაფუძვლოდ შესაზღუდად.

საქართველოს მოქმედი ერთ-ერთ ყველაზე რეპრესიულ საკანონმდებლო აქტი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ძალაში 1984 წლის 15 დეკემბერს შევიდა. საბჭოთა კავშირის დროს ადამიანის უფლებები არ იყო ინტერესის საგანი, ამიტომ ვერც კოდექსი სთავაზობს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს საბაზისო საპროცესო უფლებებს, რომელთა დაცვა გარანტირებულია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კოდექსი ვერ იცავს მოქალაქეს სამართალდამცველთა თვითნებობისგან.[7] საქართველოს ხელისუფლებამაც აღიარა კოდექსის ცვლილების საჭიროება და ამ მიზნით 2014 წელს შესაბამისი კომისია შეიქმნა, მაგრამ კოდექსის სისტემური გადასინჯვა არ მომხდარა. ასევე, 2019 წელს იყო კოდექსის რეფორმის მცდელობა, მაგრამ აღნიშნული პროექტიც ჩავარდა.[8]

დღესდღეობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი გამოიყენება შეკრების უფლების შესაზღუდად, რაც პოლიციას უტოვებს მექანიზმს, თავისი ძალაუფლება გამოიყენოს დაუსაბუთებლად, მათ შორის, აქციის მონაწილეების

[3] ადამიანის უფლებათა ცენტი; ნინო ჩალაძე; "უკონტროლო მოსმენები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება"; 2024; იხ. ბმული

[4] United Nations Special Rapporteur on the situation of human rights defenders, Mary Lawlor; Preliminary observations and recommendations; Tbilisi - 7 November 2023; Para 21-31; იხ ბმული

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 17

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 21

[7] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ლაზარე ჯიბლაძე; "ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ"; 2021; გვ.5; იხ. ბმული

[8] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ლაზარე ჯიბლაძე; „ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ"; 2021; გვ.6; იხ. ბმული

მიმართ.[9] ამ ფაქტს უკვე წლების განმავლობაში აპროტესტებს სამოქალაქო სექტორი. ცვლილებების საჭიროებას ხაზი გაუსვა საქართველოს სახალხო დამცველმა[10] და არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამაც.[11]

ყველაზე ხშირად სამართალდამცავების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცველის დაუმორჩილებლობა) მუხლები გამოიყენება მოქალაქეთა შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების შესაზღუდად. ჯერ კიდევ 2023 წლის 7-8 მარტის აქციებზე, აქციის მონაწილეთა დაკავება არა კონკრეტული სამართალდარღვევის აღკვეთას, არამედ აქციის ტერიტორიიდან დემონსტრანტების განურჩევლად გაყვანას ემსახურებოდა. კერძოდ, აკავებდნენ შემთხვევითობის პრინციპით ყველა იმ პირს, ვინც აქციის დაშლის დროს ხელში მოჰყვებოდათ.[12] დაკავების უსაფუძვლობის მიუხედავად, ხშირია სამართალდამცველთა მხრიდან დაკავების შემდგომ პროტესტის მონაწილეთა მიმართ გამოვლენილი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შემხვევები. მაგალითად, მხოლოდ 2024 წლის 15 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციების დროს დაკავებული 180 პირი მოინახულეს, ნახევარზე მეტი, პოლიციის მხრიდან მათ მიმართ დაკავების პროცესში ან/და იზოლატორში გადაყვანამდე არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.[13]

წამება და არაადამიანური მოპყრობა

2024 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრმა განაცხადა: „დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან."[14] ამ განცხადებას საზოგადოებაში განსაკუთრებული პროტესტი მოჰყვა.

სწორედ 28 ნოემბრიდან საპროტესტო აქციების ჩასახშობად სისტემური სახე მიეცა არასათანადო მოპყრობას და საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმებს. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 28

---

[9] ნეტგაზეთი; „რატომ მკაცრდება სანქცია წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის დაუმორჩილებლობაზე" 26.04.2021; (ბოლო ნახვა: 15.10.2024); იხ. ბმული

[10] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ"; 2020; გვ. 144; იხ. ბმული

[11] Human Rights Watch; „Administrative Error - Georgia's Flawed System for Administrative Detention", 2012; იხ. ბმული. გაეროს გენერალური ასამბლეის, ადამიანის უფლებათა საბჭოს, თითნებური დაკავებების სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2012; იხ. ბმული

[12] საია; „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება"; 2023; გვ. 43-44; იხ. ბმული; ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე; 13.04.2023; იხ. ბმული

[13] IPN; Public Defender's Office: From April 15 to May 17, representatives of the Public Defender visited 180 people arrested during the protests, 93 persons indicated ill-treatment by the police; 17.05.2024; იხ. ბმული

[14] რადიო თავისუფლება; „ქართულ ოცნებას" 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს"; 28.11.2024; იხ. ბმული

იანვრის ჩათვლით პერიოდში სახალხო დამცველის აპარატს 282 სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი აქვს იდენტიფიცირებული.[15]

დოკუმენტირების ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 117 რესპონდენტთან, რომელთაგან 91 მიუთითებს, რომ ისინი დაექვემდებარნენ ძალადობას და არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან 19 ნოემბერი - 28 იანვრის პერიოდში, მიმდინარე პროტესტის კონტექსტში. ჩვენებების თანხვედრა, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობაზე რეაგირების არარსებობა და, ზოგ შემთხვევაში, მისი წახალისება ხაზს უსვამს წამების სისტემურობას და ამ დანაშაულის ორგანიზებულ ხასიათს. მაგალითად, აქციების დარბევის პარალელურად, როგორც წესი, სპეციალური დანიშნულების რაზმი აქციის მონაწილეებს უსაფუძვლოდ აკავებდა, სცემდა, შემდეგ კი გადაჰყავდა მედიის კამერებისგან მოშორებით, სადაც ძალადობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდებოდა. ძალადობა გრძელდებოდა სადამსჯელო მიკროავტობუსებშიც, სადაც სპეცრაზმის წევრები, ჯგუფურად სცემდნენ მსხვერპლებს. ფიზიკურ ძალადობას თან ახლდა ნივთების წართმევა, შეურაცხყოფა, დამცირება და მუქარა, მათ შორის, გაუპატიურებით დამუქრება. როგორც წესი, სპეცრაზმელები მსხვერპლებს მიზანმიმართულად ურტყამდნენ თავისა და სახის არეში. რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საპოლიციო ძალების მიერ ნივთების წართმევით გამოწვეული ზიანის საერთო ოდენობა სულ მცირე, 253 470 ლარია.[16]

ჯარიმები

არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესებმა. სამწუხაროდ, სასამართლო პროცესებზე მოსამართლეები, როგორც წესი, შსს-ს თანამშრომლებს არ ავალდებულებდნენ საქმეზე მტკიცებულებების წარმოდგენას და მხოლოდ პოლიციელების ახსნა-განმარტების საფუძველზე ადგენდნენ სამართალდარღვევების შესახებ გადაწყვეტილებას. მტკიცებულებების ნაკლებობამ, დადგენილებების ბლანკეტურობამ და მაღალმა ადმინისტრაციულმა ჯარიმებმა სასამართლო კიდევ ერთ სადამსჯელო ინსტიტუტად გადააქცია, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის ნაცვლად, რიგ შემთხვევებში, კრიტიკული აზრის ჩახშობასა და რეპრესიული მექანიზმების გატარებას ემსახურებოდა.[17]

2024 წლის 13 დეკემბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კიდევ უფრო რეპრესიულ იარაღად ქცევის მიზნით: გაიზარდა სანქციები ისეთ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც წესი, საპროტესტო აქციების მონაწილეთა

[15] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 15 თებერვლის №25/1280 წერილი.
[16] საია; „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ"; 2025, გვ. 11,12; იხ. ბმული
[17] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ნინო ჩალაძე; „შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა: საპროტესტო აქციებში მონაწილე აქტივისტების დაკავებისა და დაჯარიმების პროცესები"; 2024; იხ. ბმული

წინააღმდეგ იყენებდა. ასევე, კოდექსს დაემატა ახალი სამართალდარღვევები და დაკავების ახალი საფუძვლები. ახალ სამართალდარღვევებად იქცა: სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა, შეკრების მონაწილეების მიერ ლაზერული ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე საშუალებების ტარება. ხოლო, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის დადგენილი ჯარიმის ოდენობა, რიგ შემთხვევებში, გაათმაგდა. მაგალითად, 174[1] მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დემონსტრაციების დროს გზის სპონტანურად გადაკეტვისთვის ჯარიმა 500 ლარიდან 5000 ლარამდე გაიზარდა.[18] მიუხედავად იმისა, რომ სპონტანური შეკრებების დროს გზის გადაკეტვისთვის დემონსტრანტების დაჯარიმების პრაქტიკა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების მძიმე დარღვევას წარმოადგენს, ამ მუხლით საქმის წარმოებისას პოლიცია იყენებს სახის ამომცნობ კამერებს და საქმის ერთადერთ მტკიცებულებას სწორედ ამოღებული ფოტოები წარმოადგენს, რომლებიც, ძირითადად, შესაბამისი კონტექსტის იგნორირებით, პირის სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევა. 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის 18 მარტის ჩათვლით, აქციის მონაწილეებზე ამ მუხლით გამოწერილი ჯარიმების ოდენობა 2 მილიონ ლარს აღწევს.[19]

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე პროტესტის ნიშნად არ გადაიხდის ჯარიმას, მათ საბანკო ანგარიშს ედება ყადაღა.[20] პროევროპულ აქციებზე „გზის ხელოვნურად გადაკეტვის" გამო დაჯარიმებული მოქალაქეების ანგარიშების დაყადაღებას აქტიურად ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივისტის თქმით, მისთვის გამოწერილი ჯარიმების საერთო თანხა 70 ათას ლარს აღემატება.[21]

ფინანსური პრობლემები, ერთი მხრივ, ეკონომიკურ იზოლაციაში აქცევს აქტივისტს, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა მოქალაქეებსაც ანიშნებს, რომ თუ გარემოებებს არ შეეგუება, მასაც ათასობით ლარის გადახდა მოუწევს. ამ ყოველივეს კი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე აქვს მსუსხავი ეფექტი.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მითითებების თანახმად, შეკრების თავისუფლებაში ჩარევასთან ერთად, მკაცრმა სანქციებმა შესაძლოა მსუსხავი ეფექტი იქონიოს აქციაში მონაწილეობის მსურველებზე. ამიტომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში, შესაძლოა საერთოდ გაუმართლებელი იყოს ჯარიმების დაკისრება აქციის მონაწილეებსა თუ ორგანიზატორებზე.[22]

---

[18] საია; „რა ცვლილებები შევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში?"; 16.12.2024; იხ. ბმული

[19] ინტერპრესნიუსი; „საია - 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის 18 მარტის ჩათვლით, გზის სპონტანურად გადაკეტვისთვის აქციის მონაწილეებზე გამოწერილი ჯარიმების ოდენობა 2 000 000 ლარს აღწევს"; 19.03.2025; იხ. ბმული

[20] რადიო თავისუფლება; „"ფინანსური სანქციები" აქტივისტებს - ათასობით ლარის ჯარიმა და დაყადაღებული ანგარიშები" 09.2022; იხ. ბმული

[21] რადიო თავისუფლება; „„ნული ლარი დამიტოვეს ანგარიშზე" - აქციის მონაწილეთა ყადაღად ქცეული ჯარიმები"; 22.05.2025; იხ. ბმული

[22] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY; CDL-AD(2019)017; 2019; Para 222; იხ. ბმული

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყეს დონაციების შეგროვება აქციების შედეგად დაზარალებული პირებისთვის ჯარიმების თანხმების გადახდის მიზნით.[23]

II სოლიდარობის ფონდები

ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებების კრიზისის ფონზე, შეიქმნა არაერთი სოლიდარობის ფონდი. მაგალითად, იმ დროს, როდესაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის რაზმები და სხვა პოლიციური დანაყოფები სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს და როდესაც საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით იყენებდნენ სხვადასხვა სპეციალურ საშუალებებს - ცრელმსადენ გაზს, წიწაკის სპრეის, ქიმიური საშუალებებით შეზავებულ წყლის ჭავლს და სხვა, „ნანუკას ფონდი“ ბრუტალური პოლიციური ძალის წინაშე შიშველი ხელებით მდგარ მოქალაქეებს ურიგებდა რესპირატორებს, აირწინაღებს, დამცავ სათვალეებს, ჩაფხუტებს.

ასევე, იმ დროს, როდესაც ინტენსიურად დაიწყო მოქალაქეთა დაჯარიმება საბჭოთა კავშირის დროინდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა სახლი მოქალაქეებს არაპროპორციული ჯარიმების გადახდასა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში ეხმარებოდა.

ადამიანის უფლებათა სახლის საქმიანობა

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი 2010 წელს ნორვეგიული ორგანიზაცია Human Rights House Foundation-ის მხარდაჭერით დააფუძნა ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. დამფუძნებლებს შორის არიან: „უფლებები საქართველო“ (იმ დროს - „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“), ადამიანის უფლებათა ცენტრი, „საფარი“ და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი. ორგანიზაცია არის ადამიანის უფლებათა სახლების საერთაშორისო ქსელის წევრი, ასევე, ევროკავშირის დროებითი რელოკაციის პლატფორმის (EUTRP) წევრი.

ორგანიზაციას წესდებით გათვალისწინებული მიზნები უფლებადამცველების, უფლებადაცვითი ორგანიზაციებისა თუ ჯგუფების დაცვა და გაძლიერებაა. ადამიანის

[23] მაგალითად, იხ. ადამიანის უფლებათა სახლი; „განახლება მიღებული დონაციის და გახარჯული თანხების შესახებ“; იხ. ბმული

უფლებათა სახლი ამ მიმართულებით საქმიანობას უკვე ათწლეულზე მეტია განაგრძობს.

როგორც თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი აცხადებს: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პროცედურული ნაწილი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებს, ის შეიცავს ადამიანის უფლებებში არაპროპორციული ჩარევის საფრთხეს, ზრდის საპოლიციო თვითნებობისა და ადმინისტრაციული ჯარიმების უსაფუძვლოდ გამოყენების რისკებს. განსაკუთრებით, 2024 წლის დეკემბერში მიღებული ცვლილებების შემდეგ. არაპროპორციული ადმინისტრაციული ჯარიმები მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას შეუფასებია როგორც სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის უფლებების დარღვევა. მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ოდირი) 6 მარტის მოსაზრებაში აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები არ შეესაბამება საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობით აღებულ ვალდებულებებს და რომ „არაპროპორციული ჯარიმა თავისთავადაც საკმარისი შეიძლება იყოს მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევისთვის.“

მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებული პირებისთვის არაპროპორციული ჯარიმების გადასახდელად თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა შემოწირულობების შეგროვება „რუსული კანონის“ ინიციირების შემდეგ დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის დასაფარად: 1. მოქალაქე თავად ავსებდა განაცხადს, რომელიც საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ვებგვერდზე. 2. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, ბენეფიციართან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, იხდიდა ადმინისტრაციულ ჯარიმას მხოლოდ სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განჩინების არსებობის შემთხვევაში. 3. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის საბანკო ანგარიშიდან პირდაპირ ირიცხებოდა თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში, ყველა სამართლებრივი მოთხოვნის დაცვით, მათ შორის, თითოეული ბენეფიციარის სახელზე საშემოსავლო გადასახადის გადახდის გათვალისწინებით. შედეგად, სახლმა დაფარა 843, 747 ათასი ლარის ოდენობის 365 ადმინისტრაციული ჯარიმა. მიიღო - 921,336.99 ლარის შემოწირულობა ასეულობით ფიზიკური პირისგან. მათ შორის, „თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკების“ შემოწირულობამ შეადგინა 300,000 ლარი.[24]

სახელმწიფოს ჰქონდა სრული წვდომა ორგანიზაციის ყველა ტრანზაქციასა და მიზნობრიობაზე. უფლებადაცვითი ორგანიზაციის მხრიდან ეს ქმედება ბენეფიციარის მიმართ სოლიდარობის გამოხატულებას და მისი უფლებების დაცვის

[24] თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის და წევრი ორგანიზაციების განცხადება“ქართული ოცნების” გენერალური პროკურატურის მიერ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიშების დაყადაღების და დაწყებული გამოძიების შესახებ; 2025; იხ. ბმული

საშუალებას წარმოადგენდა. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია სხვა პირისთვის ჯარიმის გადახდა.

ამის მიუხედავად, 2025 წლის მარტში თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიშები დაყადაღდა. მეტიც, ორგანიზაციას დაებლოკა არამხოლოდ დაჯარიმებული პირებისთვის შემოწირულობებით შეგროვებულ თანხებით დახმარების შესაძლებლობა, არამედ ორგანიზაციის დაგეგმილი სხვა უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობაც, რომელიც, თავის მხრივ, მრავალი ბენეფიციარისთვის განკუთვნილ არაერთ სერვისს მოიცავდა.[25]

III ფასადური გამოძიება და თვითნებური საგამოძიებო მოქმედებები

პროკურატურამ 2025 წლის 8 თებერვალს საქველმოქმედო ფონდების და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოძიება ვატო შაქარიშვილისა და ნანა კაკაბაძის ორგანიზაციის - „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო საბოტაჟის, საბოტაჟის მცდელობისა და მტრულ საქმიანობაში დახმარების მუხლებით.[26] სწორედ ამ გამოძიების ფარგლებში დაყადაღდა საქველმოქმედო ფონდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშები. ვატო შაქარიშვილის განმარტებით, მათ მიმართეს პროკურატურას, რადგან დაინახეს „აგენტურული კვალი“.[27] აღსანიშნავია, რომ ვატო შაქარიშვილი, პარტია „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი და თბილისის საკრებულოს ყოფილი დეპუტატია. ორგანიზაციების ანგარიშების დაყადაღების ფაქტთან დაკავშირებით „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა ვატო შაქარიშვილს მონა დაუძახა, რის გამოც მას ვატო შაქარიშვილი ფიზიკურად გაუსწორდა, შემდეგ კი განაცხადა: „რაც ცხოვრებაში ხდება, ადამიანს, როცა შეურაცხყოფას აყენებენ, ეგ ხდება ხოლმე. არაფერი განსაკუთრებული - ცხვირ-პირში ხვდება იმას, ვინც მონას დამიძახებს. რომ არ მოხვედრია, იმიტომაც ბედავენ ამდენს. სხვაც გააკეთებს? - სხვასაც მოხვდება... სილა [მოვარტყი], „პადლეცი“... თუ არ დაანებებენ ქუჩაში ადამიანების დევნას და შეურაცხყოფას თავს, მიიღებენ უარესს“. აღნიშნული ქმედების გამო მას ამ დრომდე არანაირი სასჯელი არ დაკისრებია.[28]

---

[25] იქვე.
[26] რადიო თასვისუფლება; „პროკურატურამ საქმე აღძრა საბოტაჟისა და მტრულ საქმიანობაში დახმარების მუხლებით";10.02.2025; იხ. ბმული
[27] რადიო თავისუფლება; „ფონდების ანგარიშები ვატო შაქარიშვილისა და ნანა კაკაბაძის ორგანიზაციის საჩივრის საფუძველზე დააყადაღეს"; 17.03.2025; იხ. ბმული
[28] რადიო თავისუფლება; „ვატო შაქარაშვილი „მთავარი არხის“ ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდა"; 05.04.2025; იხ. ბმული

თავის მხრივ, მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ 2024 წლის 10 ივლისს დაფუძნდა და ის ხშირად იმეორებს მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ გზავნილებს. ორგანიზაციის აზრით, „საქართველო უნდა გათავისუფლდეს ევროინტეგრაციის თემის პოლიტიკური მძევლობისგან“.[29]

ფონდების დაყადაღება

გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ძალადობის გზით ახშობს გამოხატვის თავისუფლებას, ის დახმარების გაწევის კრიმინალიზაციასაც შეეცადა. ამის მაგალითია სისხლის სამართლის პროცესის ბოროტად გამოყენების გზით, რეპრესიული მექანიზმების ამოქმედება სოლიდარობის ფონდების საწინააღმდეგოდ. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რათა ყადაღა დადებოდა ექვსი ორგანიზაციის - „ნანუკას ფონდის“, „ფროსფერითი ჯორჯიას“, „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“-ის, „მოძრაობა სირცხვილიას“ და „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის“ საბანკო ანგარიშებს. თავის მხრივ, 2025 წლის 16 მარტს სასამართლომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და ყადაღა დაადო სოლიდარობის ფონდების საბანკო ანგარიშებს.

პროკურატურის განცხადების თანახმად: „მიმდინარეობს გამოძიება საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით, 19, 318-ე მუხლის მეორე ნაწილით, 319-ე და 3211 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით, სხვა და სხვა ლოკაციებზე, მიმდინარე საპროტესტო აქციები, ე.წ. „მარშები“ და სხვა ღონისძიებების ნაწილმა, დროის მოკლე პერიოდში მიიღო ძალადობრივი ხასიათი და გასცდა კანონით დადგენილ ფარგლებს. […] გამოძიებით ასევე დგინდება, რომ ძალადობრივი ჯგუფები სისტემატურად მარაგდებოდნენ ე.წ. რესპირატორებით, ,,სპეციალური აირწინაღებით“, ჩაფხუტებით და სხვა საშუალებებით, რათა სპეციალური საპოლიციო ღონისძიებებისას სამართალდამცავებზე ძალადობრივი შეტევა ყოფილიყო ეფექტური[…] გამოძიებით დადგენილია, რომ კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებისთვის ხშირ შემთხვევაში ფინანსური სახსრების შეგროვება და მიწოდება ხორციელდება ე.წ. „ფონდების“ მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ორგანიზაციები პირდაპირ წარმართავენ თანხებს უკანონო ღონისძიებების დასაფინანსებლად, მოუწოდებენ საზოგადოებას დაუმორჩილებლობისკენ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ.

[29] რადიო თასვისუფლება; „პროკურატურამ საქმე აღძრა საბოტაჟისა და მტრულ საქმიანობაში დახმარების მუხლებით”;10.02.2025; იხ. ბმული

კონკრეტული ფონდების ორგანიზაციული და ფინანსური საქმიანობა მიმართულია სამართალდამრღვევი პირების და მათი ოჯახის წევრებისთვის მატერიალური დახმარების უზრუნველსაყოფად. ხდება სამართალდამრღვევი პირების სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა და სხვა სახის პირადი თუ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა...".[30]

პროკურატურის განცხადებიდან იკვეთება, თითქოს 1. საპროტესტო მოძრაობა/ პროტესტის გამოხატვა წარმოადგენს „საბოტაჟის მცდელობას" და „უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას" და არ არსებობს რომელიმე კონკრეტული და დასაბუთებული დანაშაული. 2. პროტესტის მონაწილეთათვის მატერიალური დახმარების გაწევა წარმოადგენს „საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზებას"; 3. დანაშაულია ფონდების მიერ პროტესტის მონაწილეების „რესპირატორებით, სპეციალური აირწინაღებით, ჩაფხუტებით და სხვა საშუალებებით მომარაგება", „მათთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა" და მათ სასარგებლოდ „ჯარიმების გადახდა".[31]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინებით შეიძლება ყადაღა დაედოს ქონებას, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული, ან/და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული, ამასთანავე, აღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება საჭიროა ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნის მისაღწევად: ა) ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად; ბ) განადგურებისგან ან დაზიანებისგან მის დასაცავად; გ) მისი გადამალვის, გასხვისების ან დახარჯვის აღსაკვეთად; დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე მისი შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად.[32]

მუხლის ეს ნაწილი აწესებს კუმულაციურ მოთხოვნას: იმისათვის, რომ ქონებას დაედოს ყადაღა, ერთი მხრივ, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მის მიმართ ჩადენილია დანაშაული, ან/და ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. ხოლო, მეორე მხრივ, ყადაღის დადება საჭირო უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე მიზნის მისაღწევად, როგორიცაა, მაგალითად, ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთა, გადამალვის აღკვეთა და სხვა. ამასთან, ეს ყოველივე, უნდა აკმაყოფილებდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, ანუ ობიექტურ პირს უნდა

[30] საქართველოს პროკურატურის განცხადება; 17.03.2025; იხ. ბმული
[31] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; „როგორ ისჯება ადამიანების დახმარება საქართველოში: სოლიდარობის ფონდების დევნა"; 16.05.2025; იხ. ბმული
[32] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 151 (3[1])

დაესკვნა დანაშაულის შესაძლო ჩადენა.[33] ამის მიუხედავად, სასამართლომ ყადაღის დადების შესახებ განჩინება მხოლოდ შემდეგნაირად დაასაბუთა: „წარმოდგენილი მასალები დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად ასაბუთებს, რომ ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშების გამოყენებით შესაძლოა ხორციელდებოდეს დანაშაულებრივი საქმიანობა, კერძოდ, წარმოდგენილი მასალების თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ირკვევა, რომ დასახელებული ფონდები გასცდნენ წესდებით განსაზღვრული საქმიანობების ძირითად მიმართულებებს და ემსახურებიან დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას. შესაბამისად, არსებობს მოთხოვნილი საბანკო ანგარიშების დაყადაღების აუცილებლობა.“

სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული, ანდა ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. ამასთან, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა დაყადაღების საჭიროებები. თუმცა, განჩინებაში არ არის აღნიშნული ასეთი ფაქტები/ინფორმაცია. მეტიც, სასამართლომ მხოლოდ ის ახსენა, რომ: „ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშების გამოყენებით შესაძლოა ხორციელდებოდეს დანაშაულებრივი საქმიანობა […] დასახელებული ფონდები გასცდნენ წესდებით განსაზღვრული საქმიანობების ძირითად მიმართულებებს და ემსახურებიან დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას.“ განჩინებაში აღნიშნული ინფორმაცია სწორიც რომ ყოფილიყო, 151-ე მუხლის 3^1 ნაწილის თანახმად მაინც ვერ მოხდებოდა ფონდების დაყადაღება, რადგან მუხლის ეს ნაწილი საერთოდ არ იძლევა დანაშაულებრივი საქმიანობის გამო დაყადაღების საფუძვლებს.

რეალურად, ფონდების გამგებლობაში არსებული სახსრები მოქალაქეების და ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შემოწირულობების გზით არის დაგროვებული. „დანაშაულს“ კი მხოლოდ ემპათია და სოლიდარობა წარმოადგენს უსამართლო სისტემის თვითნებობის წინააღმდეგ. თუმცა, განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების მიუხედავად, გადაწყვეტილება მაინც იგივე დარჩა.[34]

სისხლისსამართლებრივი საპროცესო მექანიზმები

სოლიდარობის ორგანიზაციების მიმართ, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებასთან ერთად, სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებიც იქნა გამოყენებული, რაც სისხლისსამართლებრივი საპროცესო მექანიზმების ბოროტად გამოყენებას უკავშირდება.

2025 წლის 2 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნანა შამათავამ დააკმაყოფილა პროკურორ ლაშა კოტრიკაძის შუამდგომლობები და გასცა განჩინებები სოლიდარობის ორგანიზაციებისგან მათი ფინანსური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის ამოღების შესახებ ნებართვის გაცემისა და მათივე კომპიუტერული სისტემებიდან ელექტრონული დოკუმენტაციის გამოთხოვის

[33] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 3 (11)

[34] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“; „როგორ ისჯება ადამიანების დახმარება საქართველოში: სოლიდარობის ფონდების დევნა”; 16.05.2025; იხ. ბმული

შესახებ. ეს განჩინებები ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მათში შუამდგომლობების თაობაზე მსჯელობა ან გადაწყვეტილების დასაბუთება არ არის ასახული.

2025 წლის 29 აპრილს, დილის საათებში, ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედები ერთმანეთის პარალელურად ჩატარდა: ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის - ალეკო ცქიტიშვილის; „ნანუკას ფონდის“ დამფუძნებლის - ნანუკა ჟორჟოლიანის; მოძრაობა „სირცხვილია“ სამოქალაქო აქტივისტების - მარიამ ბაჯელიძისა და მარიამ გეგუჩაძის; „ფროსფერითი ჯორჯიას“ წარმომადგენლის - ლაშა არველაძისა და ფონდი „ერთმანეთისთვის 24/7-ის“ დამფუძნებლის - გუგა ხელაიას სახლებში.[35]

აღსანიშნავია, რომ ნანა ჟორჟოლიანის პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად მასთან საცხოვრებელ ბინაში მივიდა გენერალური პროკურატურის 4 განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 5 თანამშრომელი დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ჩათვლით. გაუგებარია, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული 9 გენერალური პროკურატურის და 9 სუს-ის თანამშრომლის მონაწილეობა ნანა ჟორჟოლიანის ჩხრეკაში. აღნიშნული ქმედება, სავარაუდოდ, ძალის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად, რათა მოსახლეობას დაეკარგოს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების სურვილი.[36]

- ალექსანდრე ცქიტიშვილის საქმე

2025 წლის 29 აპრილს ასევე ჩატარდა ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის - ალექსანდრე ცქიტიშვილის პირადი და ბინის ჩხრეკა. კერძოდ, 1 და 2 აპრილს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა 4 შუამდგომლობით: 1. ამოღების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ 2. ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ 3. ალექსანდრე ცქიტიშვილის პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ და 4. მის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნანა შამათავამ ოთხივე შუამდგომლობა შაბლონურად დააკმაყოფილა.

სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ განჩინებაში **შაბლონურად** იკითხება: „ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია პროკურორის მიერ, იძლევა ამოღების ჩატარების შესაძლებლობას. მითითებული ინფორმაციის მოპოვება პირდაპირ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის გარემოებებთან და

[35] FIDH; “Georgia: Judicial harassment and home searches targeting human rights defenders and activists”; 02.05.2025; იხ. ბმული
[36] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო; „როგორ ისჯება ადამიანების დახმარება საქართველოში: სოლიდარობის ფონდების დევნა”; 16.05.2025; იხ. ბმული

შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. დასაბუთებულია ვარაუდი, რომ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოსაპოვებელი ფინანსური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია მატერიალური სახით ინახება პროკურორის მიერ მთითებულ ადგილზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის.“ ასევე: „ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია შუამდგომლობის ავტორის მიერ, იძლევა საგამოძიებო მოქმედების- ჩხრეკის ჩატარების შესაძლებლობას“.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის გამგეობა შედგება წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, მათ შორის არის ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი, ალექსანდრე ცქიტიშვილი. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს ჰყავს ბუღალტერი და გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ორგანიზაციის წარმომადგენლობაზეა პასუხისმგებელი. დაუსაბუთებელია ვარაუდი, რომ ალექსანდრე ცქიტიშვილი, როგორც რიგითი გამგეობის წევრი, თავისთან შეინახავდა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ფინანსური საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას. ასეთი ვარაუდი ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რადგან ის ვერც **ობიექტურ** პირს დააკმაყოფილებდა.[37] მით უფრო დაუსაბუთებელია ვარაუდი, „რომ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია ბრალდების მხარის მიერ, იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს, რომ კომპიუტერულ სისტემაში/კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც ხელს შეუწყობს გამოძიებას მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებასა და საქმის გარემოებთა გამოვლენაში და შესაბამისად, შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. სსსკ-ის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა. თუმცა, ჩხრეკა როგორც პირადი, ისე საცხოვრებელი ადგილის შემთხვევაში, ხელყოფს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის ისეთ ბუნებით უფლებას, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია.[38] არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ,

[37] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119 (1)
[38] საქართველოს კონსტიტუცია, 15 (2)

აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ამგვარად, ამ უფლებაში ჩარევა მხოლოდ **თანაზომიერების** პრინციპით არის შესაძლებელი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ჩხრეკის ან ამოღების განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს: ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს; ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს; ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები; წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება. ჩხრეკის ან ამოღების განჩინება.[39] „საგამოძებიებო კოლეგიის შეფასებით, სასამართლომ გააზრებულად შეიკავა თავი გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მატარებელი ობიექტების ან მათი გვარეობითი ნიშნების დაკონკრეტებისგან, სწორედ ამგვარი ინფორმაციის განუსაზღვრელი, სრულყოფილად განჭვრეტის შეუძლებლობიდან გამომდინარე, უფრო მეტიც, სწორედ ამოღებული ნივთების თუ დოკუმენტების გაანალიზებით არის შესაძლებელი სავარაუდოდ დანაშაულებრივი ქმედებისთვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა. შესაბამისად, გამოძიების სრულყოფილად ჩატარების ხელშეწყობის და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოვლენის მიზნით, როგორც ბრალდების მხარემ, ასევე, სასამართლომ მასში მოიაზრა დანაშაულის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი და მასთან შინაარსობრივ კავშირში მყოფი ყველა ობიექტი.“ **მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ ვალდებულებას აწესებს განჩინებაში ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგნის, ნივთის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის და მისი გვარეობითი ნიშნების აღწერასთან დაკავშირებით, მოსამართლე ნანა შამათავას განჩინებაში ასეთ აღწერილობასთან დაკავშირებით არანაირი მითითება არ არის წარმოდგენილი, რაც რეალურად სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.** ასევე, ალექსანდრე ცქიტიშვილს არ გადასცემია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი შესაბამისი ოქმი, რაც საპროცესო კოდექსის 134-135-ე მუხლებით გათვალისიწინებულ დარღვევას წარმოადგენს.

ალექსანდრე ცქიტიშვილის ადვოკატმა თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან მოითხოვა ალექსანდრე ცქიტიშვილის პირადი ჩხრეკისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის უკანონოდ ცნობა და ამოღებული ნივთების მესაკუთრისთვის დაბრუნება. თვითნებური და აბსურდული საგამოძიებო მოქმედებების გარდა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურამ გავრცელებულ განცხადებაში ალექსანდრე

[39] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 112 (3)

ცქიტიშვილი შეცდომით მოიხსენია ერთ-ერთი ფონდის ხელმძღვანელ პირად, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სააპელაციო სასამართლომ მოგვიანებით განმარტა, რომ პროკურორის შუამდგომლობაში ნახსენები იყო, რომ ალექსანდრე ცქიტიშვილი თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის გამგეობის წევრია.

როგორც პირადი, ისე ბინის ჩხრეკასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს თანახმად, დასაბუთებული იყო ვარაუდი, რომ საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოსაპოვებელი ნივთი ინახებოდა მითითებულ პირთან და საჭირო იყო ჩხრეკების ჩატარება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ის რომ მოსამართლემ გასცა ჩხრეკის შესახებ განჩინება არსებული/ წარდგენილი მასალების საფუძველზე, ნიშნავს, რომ მოსამართლემ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმე და შეამოწმა მისი დასაბუთებულობა დანაშაულის შესაძლო ფაქტის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ამგვარი მიდგომა ტოვებს ეჭვს, რომ სასამართლოს მეორეხარისხოვნად მიაჩნია არგუმენტირებული განჩინების გამოცემა, ხოლო მოქალაქეებმა თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ, რომ სასამართლო ყოველთვის დეტალურად ეცნობა და მსჯელობს სხვადასხვა საკითხზე, განურჩევლად იმისა, შაბლონურია თუ არა კონკრეტული განჩინებების ტექსტები.

პროკურორის **შუამდგომლობაში** არსებული განმარტებით, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რაც დაკავშირებულია ფონდების ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობასთან შესაძლოა ინახებოდეს გამგეობის წევრ ალექსანდრე ცქიტიშვილთან, რამეთუ იგი **აქტიურად მონაწილეობს ფონდის საქმიანობაში, „**რამაც ბოლო პერიოდში მიიღო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და აღარ ემსახურება მათივე წესდებით განსაზღვრულ მიზნებისა და ამოცანების ინტერესებს. შესაბამისად, ხსენებული პირის ქმედებები პირდაპირ კავშირშია ფონდის მიერ განხორციელებულ დანაშაულებრივ საქმიანობასთან.“ სწორედ აქედან გამომდინარე, მოსამართლის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე, არსებობდა ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომ გაცემულიყო განჩინება სასამართლოს მიერ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე. თუმცა, რეალურად, მოსამართლის განჩინების მიღების საფუძველი ვერ უნდა გამხდარიყო არგუმენტებს მოკლებული წინადადებები, რადგან, ერთი მხრივ, არ არის დასაბუთებული ორგანიზაციის „დანაშაულებრივი“ საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, არ არის მითითებული თუ რაში გამოიხატება ალექსანდრე ცქიტიშვილის ფონდის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, კონკრეტულად რა ფორმით მიიღო მისმა ქმედებებმა კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ანდა რაში გამოიხატება გამგეობის დანარჩენი წევრების უმოქმედობა.

ამასთან, პროკურორის აზრით: „საყურადღებოა, რომ ფონდები ბოლო პერიოდში გასცდნენ საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ემსახურებიან დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას. კერძოდ, „თბილისის ადამიანის

უფლებათა სახლის“ მიზნებია: უფლებადამცველების დაცვა და გაძლიერება; ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების თემაზე და მასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულება. გამოძიებით დგინდება, რომ დასახელებული ფონდები ბოლო პერიოდში, გასცდნენ წესდებით განსაზღვრული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ემსახურებიან დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებას. კერძოდ, ფონდების ფინანსური რესურსები მიმართულია სამართალდამრღვევი პირებისა და მათი ოჯახის წევრების დასახმარებლად. ხდება სამართალდამრღვევი პირების სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა, დაცვის ხარჯების უზრუნველყოფა, საბანკო სესხების დაფარვა და სხვა სახის პირადი თუ ორგანიზაციული სახით დაფინანსება. ხსენებული ქმედებების მიზანია ძალადობრივი, საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგო, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედებების წახალისება, ორგანიზება, მოწოდება ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული კი იწვევს დაუსჯელობის სინდრომის შელახვას და ნორმალური ფუნქციონირების მოშლას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და სახელმწიფოს დასუსტებას.“

რეალურად, ადამიანის უფლებათა სახლი სწორედ საკუთარი წესდების შესაბამისად მოქმედებდა გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და უფლებადამცველთა გაძლიერების მიზნით. მეტიც, გაეროს სპეციალური მომხსენებლის განმარტების თანახმად, უფლებადამცველები არიან ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, იცავენ ადამიანის უფლებებს. შესაბამისად, უფლებადამცველი შეიძლება იყოს იურისტი, ჟურნალისტი, აქტივისტი, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, მასწავლებელი და სხვა.[40] შესაბამისად, ვრცელი განმარტებით, ქართულ რეალობაში, საპროტესტო აქციაზე გამოსული პირი, რომელიც მშვიდობიანი გზით იცავს ადამიანის უფლებებს და შემთხვევითობის პრინციპით ხდება არაპროპორციული ჯარიმების მსხვერპლი, შესაძლოა ჩაითვალოს უფლებადამცველად. ასეც რომ არ იყოს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განმარტავს, რომ „კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.”[41]

- სხვა საქმეთა პროცედურული დარღვევები

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში გამოიკვეთა არაერთი პროცედურული დარღვევა. იმ ფონზე, როცა ჩხრეკა-ამოღება ჩატარდა სასამართლოს მიერ განჩინების გაცემიდან 3 კვირაზე მეტი ხნის შემდეგ, გაუგებარია რით იხსნება საგამოძიებო მოქმედების მყისიერება, როცა, რიგ შემთხვევებში, 29 აპრილს ჩხრეკის

[40] About human rights defenders Special Rapporteur on human rights defenders; იხ. ბმული

[41] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 25

პროცესს არ დაასწრეს ადვოკატები. საჯაროდ გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ სამართალდამცავები საცხოვრებელ სახლებში უკვე შესულები იყვნენ და საგამოძიებო მოქმედებები დაწყებული ჰქონდათ მანამ, სანამ მოქალაქეები სრულად გაეცნენ განჩინებას და მათთან მივიდნენ ადვოკატები. ასევე, მაგალითად, მარიამ ბაჯელაძის განცხადებით, საგამოძიებო უწყების თანამშრომლებმა მოატყუეს, რომ იყვნენ მეზობლები და მოტყუებით შევიდნენ სახლში.[42]

სამართალდამცავები უკრძალავდნენ მოქალაქეებს ჩხრეკა-ამოღების გადაღებას და ვერც იმას ხსნიდნენ, თუ რომელი ნორმით იყო აკრძალული გადაღება. ასევე, მაგალითად, მარიამ ბარჯელიძის ლაივ-ტრანსლაციაში ჩანს, რომ ყველა საგამოძიებო უწყების თანამშრომელს არ ჰქონდა სამხრე კამერა. მეტიც, ჩანს, თუ, როგორ გადაადგილდება ერთ-ერთი წარმომადგენელი სხვა ოთახში თანმხლებისა და სამხრე კამერის გარეშე.[43]

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს, განჩინებებში არ ყოფილა დაკონკრეტებული აღმოსაჩენი და ამოსაღები ნივთები, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევას წარმოადგენს.

განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები არღვევს პირადი და ოჯახურ ცხოვრების უფლებას, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით.

დასკვნა

საქართველოში სამოქალაქო სივრცის შევიწროება სულ უფრო სისტემურ ხასიათს იღებს, რასაც თან ახლავს რეპრესიული კანონმდებლობის გაღრმავება, სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და კრიტიკული აზრის მქონე პირების მიზანმიმართული დევნა. ხელისუფლება განზრახ ქმნის გარემოს, სადაც სამოქალაქო აქტივიზმი, პროტესტი და დამოუკიდებელი აზრის გამოხატვა დასჯად ქმედებად იქცევა. ამის დასტურია როგორც სამოქალაქო ორგანიზაციებისა და აქტივისტების წინააღმდეგ გაჩაღებული დეზინფორმაციული კამპანიები, ისე ფიზიკური თავდასხმები, სახელმწიფოს მხრიდან გამოძიების უმოქმედობა.

[42] საია; "საია ეხმიანება ფონდების წარმომადგენლთა სახლებში ჩატარებულ ჩხრეკა-ამოღებას"; 30.04.2025; იხ. ბმული
[43] იქვე

საპროტესტო აქციების მონაწილეთა მასობრივი დაკავებები, არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა ასახავს ხელისუფლების მზარდ სურვილს, მოქალაქეთა წინააღმდეგობა ძალისმიერი მეთოდებით ჩაახშოს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ჩასახშობად გამოყენება სწორედ ამის მაგალითია.

ადმინისტრაციული ჯარიმების პრაქტიკამ, განსაკუთრებით - 2024 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, აშკარად შეიძინა სადამსჯელო ფუნქცია. სასამართლოების მიერ მტკიცებულებების გარეშე გამოტანილი განაჩენები და ჯარიმების მზარდი ოდენობა მიზნად ისახავს მოქალაქეთა დაშინებას. გარდა პირდაპირი რეპრესიებისა, სახელმწიფოს ქმედებები იწვევს მსუსხავ ეფექტს და ხელს უშლის მოქალაქეთა მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში.

ამგვარი დარღვევების ფონზე, სოლიდარობის ფონდების შექმნა მოქალაქეთა თვითორგანიზების მძლავრი პასუხი იყო, რომელიც გამოხატავდა პროტესტის მიმართ თანადგომას. ამ სოლიდარობის ნაწილი იყო თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის საქმიანობაც, რომელიც საქართველოს პროკურატურამ ისეთ დანაშაულად შერაცხა, როგორიცაა: საბოტაჟი, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობა და უცხოეთის ორგანიზაციისთვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსება და სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა.

ფასადური გამოძიებებისა და თვითნებური საგამოძიებო მოქმედებების გზით, მათ შორის, ორგანიზაციების ანგარიშების დაყადაღებითა და ჩხრეკებით, საქართველოს სისხლის სამართლის სისტემა სულ უფრო მეტად იქცევა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად. ხოლო, საგამოძიებო ორგანოების და სასამართლოების მიერ კანონის ნორმების შერჩევით გამოყენება საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების ძირეულ პრინციპებს.